# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 739

დამატების № 132

კვირა, 4 დეკემბერი 1916 წ.



მზარეული ექვთიმე.

ნახ. გუდიაშვილისა.

## სამი სტუმარი

(მცირე ნობათად—მარო და ტასო ციციშვილებს).

### სიურმის გაზაფხულზე.

. . . ვინ ხარ? მსუბუქ თითის ცემით რად შემიკრთე სარკმლის მინა?—
გაკვეთილებს უკვე მოვრჩი და მინდოდა დამეძინა:
ღამის ჰრაქი ჩამოვქოლგე მოცისფერო გარსაფარით,
ფუხლ დადრეკით ლოცვაც კი ვსთქვი—ცრემლ შერეულ საუბარით,—
სასთუმალი გავასწორე, გადავკეცე საბნის ყუა,
შევდექი და ჩემი ფიქრი წუთმა სადღაც გაიტყუა,—
გაიტყუა მომავალთან, ყვავილებთან, გაზაფხულთან,
წუთმა გული გადმიჯაჭვა ვიღაცასთან—არ ნახულთან:
ის ტან მოქნით ჩანჩქერს ჰგავდა, სითეთრით კი მარმარილოს,
ის სიტყვებად ვარდს ჰფურცლავდა და ღიმილად მთვარის გრილოს
და მის ტუჩებს, იმ ღიმილით ცეცხლ-მარჯანად გადაკვეთილს,
მხოლოდ მუქ ძოწს შევადარებ—მზის ქარგაზე გადაკეცილს!—
მის ხალიან ლოყის თავებს ისე ჰშლიდა კდემის ზოლი—
როგორც ტრფობა სიჭაბუკეს—გულში ახლად განაბრძოლი
მისი წარბი და წამწამი ჰინდის გიშრად ტევრაობდა,
მის თვალებში თენდებოდა და ცისკარი მჭევრაობდა!—
ღამისფერი თმის ჯამბარა—შუადღისფერ წელზე სცემდა,
მის სეფისკვერ ფეხთა რხევა მუსიკის ხმას გამოსცემდა!—
ტანთ ებურა ნარმა თხელი—როგორც სუნთქვა ნარგიზისა,
და დუგმებად ზედ ეკერა დაკვანძილი სხივი მზისა,—
და ის დუგმა იმის მკერდზე—გადაეხსნა ორ შროშანას,
მისი მკლავი მოესალტა უცხო თვალთა უცხო შანას,
ცქვიტი ყელი მოეღერა ვით რიჟრაჟის გამოცანას,—
და ისმენდა ყვავილთ რწევას, ნამის ფრქვევას, ფოთოლთ ნანას!..
ისე იდგა, და მის ირგვლივ ისე ენთო ზამბახთ კრება,



† ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი.

ვით ტაძარში ლამპართ შორის თვით ღმერთ ქალის ქანდაკება!..
შევხვდი, შევკრთი... შემხვდა, შეკრთა... შეირხა და... დამიძახა,
ის ჩემს გულშიც ვიღაც დიდმა თვის ნაცნობად დაისახა!..
ის მკლავ გაშლით მომეგება, ჩემი მკლავიც გაიშალა.
გულში რაღაც აბურბურდა, აინთო და აიშალა
და...
შენ კი, ამ დროს მსუბუქ თითით შემიკრთოლე სარკმლის მინა!..—
—რად მოსულხარ ამ სიზმრის დროს?—რა საქმე გაქვს, ვინ ხარ, ვინ?..
—მე ღიმი ვარ ყვავილების, ყვავილებს კი მე ვშლი ღიმით,
მზეს მე ვაძლევ სიცხუნარეს, ჰანგს მე ვარხევ ჩანგზე სიმით,
შუქით მე ვსწნავ ოქროს ჯაჭვებს, გულით გულში გასაბამად,
საუკუნეს მე ვკლავ წუთით, წუთს მე ვაქცევ დასაბამად!
მზის ხელში მაქვს გასაღები უკვდავების სამოთხისა,—
გახსენ კარი... მე ტრფობა ვარ სიჭაბუკის პირველ დღისა!..
აი, ესე... როგორ ბნელა!..—მე კი შუქი მომყვა თანა,—
იქ მე ვიყავ, სადაც ფიქრმა წინადგრძნობით მოგიყვანა,
აი, ისევ ისე გიწვევ, მკლავი ისევ გაშლილი მაქვს,
გახსენ შენი გულის კარი—მე იქ გრძნობის სითბო მიმაქვს!..—
აი, ესე... როგორ ცივა!.. მე კი ცეცხლი მომყვა თანა,
ავანთებ და დაიწყება წუთი-სოფლის გამოცანა:
„იყო უცხო დედოფალი, ვარსკვლავეთის ქვეყანაში,
და იგი მზეს შეუყვარდა . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . .
ერთი, ორი... ერთი, ორი... და წუთები საათისა,
გულში ისე მუსიკობენ, ვით ვარდები მზიან თვისა!..

## სისოსლის შემოდგომისას.

... ვინ ხარ?—ყვითელ თითის ცემით რად შემიკრთე სარკმლის მინა?—
ფიქრით ეხლა ვერკვეოდი და მინდოდა დამეძინა...
როს მზე მთების სარეცელზე დაჰლექდა და მოკვდა დინჯად,
ბინდი დაწვა, და მოწყენა თან ჩამოჰყვა ბინდს ნარინჯად,
ყვითელ ტყეში, სნეულ ხეებს—მჭკნარ ფოთლებით დაძენძილებს,—
ჭლექი თვლემა შეეპარათ და დუმილით შეჰხვდნენ ძილებს! —
და თანისთან ისე ბნელად შებურუსდა ცის ტატანი,
რომ აღარც კი ირჩეოდა თითი თვალთან მინატანი!..

და თვალთა-ფერ სივრცის მთვარე შუქს ვერ ჰფენდა მთათა ბექსა,—
მხოლოდ ჭოტმა ერთი-ორჯერ საზნელეთი შეალექსა,
და შორს, სადღაც გამოისმა მეკობრეთა ყრუ ძახილი,
ჩუმი სტვენა, ჩქარი რბენა, თოფის ხმა და ოხვრა ფრთხილი,
და მერე კი წვიმა, წვიმა... წყნარი წვიმა—წელ-წანწკარა,
წვრილ წვეთებად აწიკწიკდა—წამდა-უწუმ, წარა-მარა...
დიდხანს ვიდექ აივანზე და ნამიან სუნთქვით მთვრალი,
ვჭვრეტდი სივრცეს მაგრამ არვის მოელოდა ჩემი თვალი!—
გულში მქონდა საფლავეთი და ვგმინავდი ტლუდ და ობლად,
და არ მახსოვს, ვით შემოველ ჩემს ოთახში მე უგრძნობლად,
ვით დავხურე ფანჯარები, ვით ავუგდე კარს ურდული,
ან თუ როგორ გავიშიშვლე მკერდი შიგ გულ გაქურდული?!—
არც ის მახსოვს, რას მოვსთქვამდი და ჩემს დამწვარ თვალთა უპით
რათა სწვიმდა შემოდგომა—ლიცლიცით და ლაპა-ლუპით?—
მახსოვს მხოლოდ: მკლავთა ბოძკანს დავაყრდენი ცხელი შუბლი,
და ჩემს ხსოვნის ძველ საყდარში ფიქრის შევლე მკვდარი ზღრუბლ
და, იქაურ ნანგრევებში ღრუბელივით მოვიარე,—
და ვნახე რომ იქ მე მგლოვდნენ, მეც მათ ვგლოვდი მგლოვიარე!..
და ჩემს ლაწვზე მიმქრალ ცრემლის ბევრი ნასკვი ჩამოგორდა,
და იმ ცრემლში თითქო ყველა სათითაოდ განმეორდა:
აგერ ვარდი, ერთ მაისში ჩემს გულში რომ აბიბინდა,
აგერ ღიმი, ღვთის ბაგეზე ჩემთვის მზედ რომ გამობრწყინდა,
აგერ დასტა წერილების—თან რომ სდევდა მზის ალიონს,—
ო, რა ჯილდოს არ ვაძლევდი იმათ მომტან ფოსტალიონს!?..
აგერ მზიურ მოსაუბრე იმ წერილთა სტრიქონები:
„მზე თვის სითბოს დაივიწყებს და მზის ჰანგებს—მზის მინები,
მე კი შენთვის ვიყვავილებ, ვიმაისებ შენის მზითა,
სიკვდილამდეც, სიკვდილს მერეც ვერ დაგტოვებ ვერას გზითა!..“,
აგერ კოცნაც, სიმორცხვით და მოკრძალებით ანაგზნები,
გულუბრყვილო იმედები, ცრუ აღთქმა და ცრუ მიზნები,
აგერ ისიც... მაგრამ ყველა მკრთალი, მჭკნარი, მკვდარი, ცივი,
და მეც—ამ მკვდარ ხსოვნათ შორის—მკვდარ ცრემლებად დანაცვივ
აგერ კიდევ ვიღაც მქრქალი, თვალ ჩამქრალი, თხელ ტუჩება,—
ამბობდა თუ: „ბედის წერას აქ ვერავინ გადურჩება,
მონა თვის ხვედრს ცრემლით ჰნამავს, ცრემლს ვერც მეფე ეურჩებ
აქ ვინც მოდის ყველა ჰქრება და წმაბა კი ისევ რჩება!
და მოდიან ჩრდილთა დასნი „ყოვლის შემძლე“ სახელ-დებით,
წამით წამში გადადიან—მატყუარა იმედებით,
და ბოლოს კი, ზარით მოსთქვამს მათი ბაგე ყვითელ ცვილის—
თუ ვით გაჰქრნენ ოქროს დღენი ვარდ-შერეულ სიყმაწვილის,—



ასკვიტი ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

მტკვრის პირას.
(ადგილი, სადაც ხშირად იმყოფებოდა ნ. ბარათაშვილი).



ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი კარლოსი
რუსეთის ფრონტზე.

და ქვითინად დაშრეტილნი—კუბოს ზურგით ატარებენ,
საფლავთ შორის დადიან და, თავს ძეგლთა ჩრდილს აფარებენ!..“

. . . . . . .

„როგორ გაჰქრენ ოქროს დღენი და ვარდებიც როგორ დასჭკნენ!“
და ვუსმენდი თხელ ტუჩებას და. . . . . .
შენ კი ამ დროს, ყვითელ თითით შემიკრთოლე სარკმლის მინა,—
რად მოსულხარ უდროვო დროს?—რა საქმე გაქვს, ვინ ხარ, ვინა?
— მე კვნესა ვარ ჭრილობისა, ჭრილობას კი მე ვქმნი კვნესით,
სულში ღამეს მე ვამყარებ—ცრემლებით და ცივის წესით!—
პირველ დღეთა ლამაზ ტყუილს და სისხლ-ჭარბა გულთა გზნებას,
თან შიკრიკად მე ვაყოლებ—შემოდგომის ცივ ზმანებას,
და როდესაც ცრემლების თვე ჩამოაჭკნობს ღიმის ვარდებს,
და სისხლ-ჭარბა გულიც ცემას სინამდვილეს შეუფარდებს,—
მაშინ მე ვარ იმა გულთა სტუმარი და თან მყოფელი,
და ვასწავლი, თუ ვით ცრუ და ამაოა ეს სოფელი!..
და წამის წინ შენი ფიქრიც ჩემთან იყო, მთხოვდა ძმობას,
თხელ ტუჩებით მე მოვსთქვამდი „ოქროს დღეთა“ წარმავლობას,
მაშ გამიხსენ გულისკარი—მე სიცოცხლის სევდა მქვიან,—

. . . . . .

აი, ესე... მაშ განვაგრძობ, თუ ვარდები ვით სჭკნებიან:
„იყო ქვრივი დედოფალი მგლოვიარე ქვეყანაში,
და მის ბალჩას. . . . . .
ერთი, ორი... ერთი, ორი... და წუთები საათისა,
გულში ისე შრიალებენ, ვით ფოთლები მჭკნარის ხისა!..

## ხსოვნების ზამთარში.

... ვინ ხარ. ვინა—ხმელ თითით რომ მიკაკუნებ სარკმლის მინებს?—
უმისოდაც ქარ-მსჭვალი მაქვს და ტკივილი არ მაძინებს!—
ამ საღამოს, როცა სივრცე შეიძენძა ტყვიის ფერად,
ზარეთ მისწყდა სიხმაურე—სიკვდილეთის შესაფერად,
და ჩვენს სახლის დიდ დარბაზში—სხივ-ზიზილა ქალის შუქი,
გაიფანტა, როგორც მზის და ყვავილების ბუსუს-ბუქი,
და ბავშვები თმა-კულულა-ანგელოზურ სიცქრიალით,
შემოცვივდნენ ჩემს ოთახში კისკისით და ხმის წკრიალით
და სთქვეს:—ბაბუ, იცი, როს აქ, შენ და მამა იგავობდით,
მაშინ ჩვენა, ჩვენს ბალჩაში—ვთოვლაობდით, ვციგაობდით,
იცი, მიწა ისე თეთრად, ისე თეთრად იჩადრება,
რომ სითეთრე შენის თმების იმას სულ ვერ შეედრება!—
და ხეებიც მარმარილოს თეთრ კაცებად წამომდგარან,
ზოგნი შენებრ მოხრილან და ზოგნიც წელში გადამტყდარან!—
შენ არ გინდა თოვლის ნახვა?......

...მე მოვძებნე ყავარჯენი,
და კართაკენ წავლასლასდი, ზედ ცახცახით დანაბჯენი;—
და თუმც ხედვა აღარ მქონდა ძველებური, მახველური,
არც ქურციკის სიფეხმარდე, არც ხალასი ყმაწვილური—
მაგრამ ნათლად გავარჩიე მიწა ფიფქით მონახატი,
ჰაერშიც კი ვნახე თოვლი—თეთრ პეპლებად მონაფანტი...
დავინახე ის საყდარიც, ის მატური და აკლდამა,
სადაც სთვლემენ უსიზმაროდ ჩემი ცოლი და დედ-მამა!..
და ფიქრს გულის ნამცეცები თან გადაჰყვა შორად, შორად,—
ჩვენს სახლში კი, მუსიკის ხმა გაძლიერდა ერთი-ორად,
და ბავშვების სიმაისე თანა სდევდა ჰანგს ნეტარულს,—
მე კი, სულში ვიღაცას ხელს ვგრძნობდი—ცივად შემოპარულს!—
და ორგვარი იყო წამი მტანჯველი და სანატრელი,
მაგრამ მე კი არ შემეძლო არც შვება და არც ნაღველი!..
...— ეჰე, ნუ თუ ყოველივე, რაც კი ულვთოდ გაიწირა,—
ამ ბუნების უფსკრულეთში ისე გაჰქრა, დაიძირა—
რომ ამ ჩემმა სნეულ ხსოვნამ წვეთიც ველარ დაიჭირა?—
ჩემმა ბრძენმა განცდამ—სიბრძნე ასე როგორ დაიძვირა?!..
მეც ხომ მქონდა სიზავშვე და ვარდის კოშკი—მზის ჩარდახით,
მაშ ვით მოველ ამ თოვლეთში—კნასა-კნუსით და ცახცახით?—
მეც ხომ მქონდა ტრფობა, თრობა, ბედის მტრობა, სულის ურვა,
ვულში გველის ნესტართ ბრუნვა, ფიქრთა ცეცხლით შემობურვა?!..
ვფიქრობდი და თან ჩემს სულში—მოდიოდა თოვლი წყნარად,—
თოვლი ჩემს თეთრ თმებსა ჰგავდა—და მეც ვთრთოდი თოვლის დარად!..
მუსიკის ხმა მისწყდა, ყველამ დაიძინა.—ქ ლიც ჩაქრა,—
მე შემცივდა, შევფანფალდი,—სუსხმა ძვლები დამინაქრა—
და კართა ბჭეს ჩამოვშორდი—და მზად დამხვდა სარეცელი,
აქ თბილ საბანს შევაფარე—ცივი გული, ცივი წელი!—
აქ კი ხსოვნამ გაიღვიძა და მეც აღარ დამაძინა,—
გულის ტოლის სიკვდილის დღე დამიყენა თვალთა წინა!..
და ვხედავდი ჩემს მეუღლეს, თეთრ კუბოში თეთრად მწოლსა,—
სანთლებს ალყა შემოერტყათ და შუქს ჰფენდნენ ანათრთოლსა!—
ისე იწვა, და სუდარად ისე ევლო ყალამქარი,—
ვით მილეულ მთვარის დისკოს—თეთრ ღრუბელთა ზღვა ლაშქარი!—
და მის თვალებს, ვიღაც მქრქალი, ვიღაც ბუნდი სიზმარივით,
ცივის კოცნით ჰკეტავდა და აყვითლებდა თაფლის სხივით!..



პრაპ. ვლად. თავზერიძე
(დიჭრილია).

მე კი შურით ავინთე და. . . . .
— შენ კი, ამ დროს ხმელ თითებით შემიკრთოლე სარკმლის მინა!
რად მოსულხარ ამ ტანჯვის დროს?—რა საქმე გაქვს, ვ¯ნხარ, ვინა?..
— მე ვარ ყოფნის ბოლო სიტყვა და პირველ-თქმა სიმღუმარის,—
და საწუთროს ყოველი გზა ჩემსკენ მოდის, ჩემსკენ არის!—
ჩემის სუნთქვით დგება ღამე, ჩემის კოცნით—დავიწყება,
ჩემით კვდება ძველი ჟამი და ახალი დაიწყება!
დრო მე მმონებს თვის სიზმრებით, და სიზმრები—თვისს მონებით,
ყველა ჩემთვის ჰქრება, სჭკნება, იფერფლება—გზნებით, ვნებით,
და ვერავინ ვერ გაიგებს საწუთროს და ყოფნის მიზნებს:
რისთვის გაჩნდა, საით ილტვის და ლტოლვილს ვინ შეიხიზნებს?
ყველა ჰკარგავს ყველაფერსა და სანაცვლოდ მელა მპოვებს,
მელა მპოვებს სულის მეფედ—როცა სოფელს მიატოვებს!
შენც დაჰკარგე რაც გებადა, შენც ჩაგიქრა სითბო სულში,
და ჩემს გარდა არვინ გივის—არც აწმყოში, არც წარსულში!
მაშ გამიხსენ გულის კარი, და მიმიღე მეგობარად,
და გიამბობ ყოფნის ამბავს წყნრად, მტკბარად, სიზმრის დარად!..
. . . . .
— ჰო, „იყო და არრა იყო, იყო ერთი. . . . .
ერთი, ო-რ-ი... ე-რთ-ი. . . .
ეჰ, ფიალა შხამ-შარბათის—სულ ძირამდე მოიცალა,
ძაფი გაწყდა სიცოცხლისა, და საათიც მოიშალა!..

ს. ფაშალიშვილი.

## ნეტამც, იყო შენც ყვავილი!

.... და როს ღამე სუყველა სთვლემს,
თვით წყალსაც კი მოსდის ძილი
ყვავილეთი სიცილს იწყებს
სურნელებათ დაძენძილი,

სულ შრიალებს, სულ ჩურჩულებს,
ღამის ნამცვრევს ეტანება,
გულში იკრავს ვარდის გულებს
საკოცნელად ენანება!

მე ყვავილთა სუნთქვა მესმის,
მესმის მათი ჩუმი ზრახვა;
ამბრისაგან თავს-ბრუ მესხმის:
მენატრება შენი ნახვა...

ნეტამც იყო შენც ყვავილი
შემოდგომის, ლიაფერი,
შუშაბანდში გამოზდილი,—
რომ გაგაცნო ყველაფერი:

თუ რადა ვარ ყრუდ და მუნჯად
რად ვსწუხ ფიქრით დამაშვრალი,—
რად დაიყო უჯრა-უჯრად
გული სევდით გამომშრალი...

განჯა. მარიჯან.

## სუნთქვა იმედის

I

ობოლი იყო ღამის მკვნესავი,
მწარე რამ იყო სულის ქვითინი,
მასში არ იყო ხმა ტკბილი გრძნების,
არც მარადობის იმედის ჰიმნი!..

*
* *

სთვლემავდა ღამე, ია ჰკნებოდა,
შვების ტირიფი კოცნასა სთხზავდა,
და ცელქი სიო მინაბულ ყვავილს
სამარადისო ზღაპარს უთხრობდა...

*
* *

კვნესოდა ღამე ქანც-მილეული,
ღლიურ სიცხადით ვნებით-ტანჯული,
ის მოწამეა შავ განთიადის;
— ვიშ! რა ტკბილია იგი წარსული!..

*
* *

ჰყვაოდა ია, ირგვლივ არე იფურჩქნებოდა,
არე ტანჯული მზის სხივთ კონას ელიმებოდა,
— რა ტკბილი იყო მაშინ ის კოცნა,
გულმა ხმა იგრძნო და იქვითინა...

II

ის მაშინ იყო, ახლა-კი, ახლა,
რა გადამჭკნარა ეს შვების ბაღჩა,
— მოგონებანი ტკბილი წარსულის:
გულს საიმედოდ მხოლოდ ეს დარჩა!

ტაიფუნი.

## გზაზე

კვლავ სამშობლოსკენ, ნანატრ მხარისკენ,
ისევ ივერის ლაჟვარდ ცის რხევა,
მთათა გრეხილი თეთრი სარეცლით
და ორბ-არწივთა მთიური ძლევა...

*
* *

და მიჰქრის ჩემი მატარებელი,
შორს მიმიწოდებს, შუქ-მფინარ არეს...
და ბნელ წყვდიადში მთანი ელავენ,—
ო, ვით მაგონებს დაჩაგრულ მხარეს...

*
* *

და გამოვექეც ბოროტ მოძღვრებას,
შორს ჩრდილოეთში დავტოვე ყრმობა,
სამუდამჟამოდ დავასამარე
ჩემ სიჭაბუკის ნეტარი მცნება!..

*
* *

და შენსკენ ვილტვი სუსტი, სნეული
ცხოვრების ზღვასთან ბრძოლით დაღლილი...
ოი, შემინდევ, დედავ ქართლისავ,
მიიღე შვილი ტანჯულ-დევნილი.

ბირზულა. ს. ტაიფუნი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩ. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.